სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 ოქტომბერი, 2023 წ

ბრძანება № 01-02/193

„ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 თებერვლის N01-02/23 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულების **ავტორიზაციის დებულებისა** და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N06-01/06 დადგენილებისა** და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2023 წლის 16 ოქტომბრის N1367639 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 თებერვლის N01-02/23 ბრძანების პირველ პუნქტში **შევიდეს ცვლილება, კერძოდ,** პირველ პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით დამტკიცდეს **სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი** შემდეგი შემადგენლობით:

ა) **მადონა მიქელაძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) **მამუკა გოგელია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;

გ) **ირინე ბერიძე** - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

დ) **გურამ გვარიშვილი** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ფინანსური მენეჯერი;

ე) **მარინე გიორგაძე** - ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების და საგარეოს ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი;

ვ) **ლევან ტარიელაძე** - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი;

ზ) **თამარ მხატვარი** - დამსაქმებელი, ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება" ხელმძღვანელი, ბათუმის რეფერალური ჰოსპიტლის სამედიცინო დირექტორი;

თ) **თათია სეფერთელაძე** - დამსაქმებელი, ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ი) **გიორგი მახარაძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის აგრარული ექსტენციის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელი."

2. სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს დაევალოს „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N06-01/06 დადგენილების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის წევრებს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**